ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N16

23.12.2022
10:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 23 დეკემბერს, 10:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების** შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032234849-03; 14.12.2022წ.),*
   მომხსენებელი - **გაიოზ თალაკვაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032234257-03; 08.12.2022წ.),*
   მომხსენებელი - **გიორგი ჩაკვეტაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **სატრანსპორტო საკითხთა** კომისიასთან ერთად.

გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დადგენილების პროექტში ცვლილების შესახებ ინფორმაცია, კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება შემოსულობების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადის 8 541,7 ათასი ლარის ზრდით, რომელიც შეთანხმებულია ფინანსთა სამინისტროსთან. ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 425,7 ათასი ლარით მცირდება. მთლიანობაში ბიუჯეტი იზრდება 8 116,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 567 982,6 ათას ლარს. ბიუჯეტს ემატება ახალი პროგრამა მდგრადი ურბანული მობილობა გონიერი სატრანსპორტო სისტემის (KfW) სესხის მომსახურების შესახებ, გამომდინარე იქიდან, რომ დაგეგმილზე უფრო ადრე მოხერხდა სესხის ხელშეკრულების ხელმოწერა, სესხის გაფორმების 1% გახლავთ უკვე წელს გადასახდელი, რაც შეადგენს 1 400,0 ათას ლარს. გარდა ამისა გახლავთ ბიუჯეტის შიდა გადანაწილებები მათ შორის:

იზრდება: საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია; ღონისძიების უზრუნველყოფა; კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები; კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში; გამწვანების ღონისძიებები; დასუფთავების ღონისძიებები; დაავადებათა სკრინინგი; ტრანსპლანტაცია; უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში; სხვა სოციალური დახმარებების ღონისძიებები რაიონებში; თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა; შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა 60,0 ათასი ლარით; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მცირდება: გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია რაიონებში; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება; კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში; სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამა 100,0 ათასი ლარით; მწვრთნელთა მხარდაჭერა 11,0 ათასი ლარით; წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება 32,0 ათასი ლარით, რაც ფედერაციების მომართვიანობასთან არის შესაბამისობაში; სპორტი უფროსი თაობისთვის 50,0 ათასი ლარით; ასევე, მცირდება უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში 26,0 ათასი ლარით; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში 1,6 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში 4,8 ათასი ლარით, ვაკის რაიონში 43,3 ათასი ლარით, რაც განპირობებულია შიდა გადანაწილებით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მომართვიანობიდან გამომდინარე იზრდება ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) 60,0 ათასი ლარით, ხოლო სხვა ცვლილებები გახლავთ შიდა გადანაწილებიდან გამომდინარე. ველოდებით 2023 წლის ბიუჯეტის განხილვას სადაც დეტალურად გავეცნობით სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით, ყველა პროგრამას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესებში ცვლილების შესახებ, კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა.

გიორგი ჩაკვეტაძე - წესში გარკვეული ცვლილებები გამოწვეულია ტექნიკური ხასიათით, კერძოდ: ცვლილება შედის მე-3 მუხლის მე-8, მე-9 პუნქტებში და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში, ემატება ჭადრაკის ოლიმპიადაში მიღწეული წარმატებისთვის სპორტსმენების წახალისება, აღნიშნული ყოველ 2 წელიწადში ერთხელ იმართება. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში კონკრეტდება ბენეფიციართა თბილისში რეგისტრაციის პერიოდი და პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით „მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების, ოლიმპიური/პარალიმპიური თამაშების და ჭადრაკის ოლიმპიადის დაწყებიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების შემოტანის დღემდე მხოლოდ ქალაქ თბილისში რეგისტრირებული". მოქმედი ჩანაწერით იყო შემთხვევები როდესაც სპორტსმენი პირველ და უკანასკნელ პერიოდებს შორის რეგისტრირდებოდა საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტში, წარმოდგენილი ცვლილებით მოხდება ასეთი შემთხვევების პრევენცია და სპორტსმენი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების, ოლიმპიური/პარალიმპიური თამაშების და ჭადრაკის ოლიმპიადის დაწყებიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში

განცხადების შემოტანის დღისთვის რეგისტრირებული იქნება მხოლოდ ქალაქ თბილისში. ასევე ამავე მუხლის მე-4 პუნქტში ჩანაწერი „რაგბის ეროვნული ფედერაცია“ იცვლება ჩანაწერით „რაგბის კავშირი“. აღნიშნული ცვლილებით, ჭადრაკის ოლიმპიადაში მიღწეული წარმატებისთვის ჯილდოს ოდენობა, I ადგილი 6000 ლარით, II ადგილი 4000 ლარით და III ადგილი 2500 ლარით განისაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი.

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე